

უცხოური წარმოშობის ზოგიერთი-ზნური ფორმისა და მათგან ნაწარმოები სახელების წარმოება ქართულში

უცხოური წარმოშობის ზნები, რომელთაც რუსულში -ировать, -изировать, -изовать დაბოლოება აქვთ, ქართულში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა.

ზოგიერთი მათგანი ქართულში თარგმნილია, მაგალითად:

| | |
|---------------|--|
| датировать | — დათარიღება — ათარიღებს |
| диспутировать | — პაექრობა — პაექრობს |
| дрессировать | — წვრთნა — წვრთნის |
| вентилировать | — განიავება, ჰაერის გაწმენდა — ანიავეებს, ჰაერს წმენდს |
| аплодировать | — ტაშის კვრა — ტაშს უკრავს |
| баллотировать | — ხმის მიცემა, კენჭის ყრა — ხმას მისცემს — კენჭს უყრის |
| эмалировать | — მომინანქრება — მოამინანქრებს და სხვ. |

ზმნა თარგმნილია, ჩვეულებრივ, ერთი სიტყვის საშუალებით, ფუძეც და გაფორმებაც ქართულია და ზმნა იცვლება ქართული უღვილების საერთო წესების მიხედვით. ამ შემთხვევაში ვითარება გარკვეულია და მოსაწესრიგებელი არაფერია, ახეთ ზმნათა საკითხი არც დგას.

სხვა მდგომარეობაა, როცა ამ ტიპის ზმნათა გადმოსაცემად უცხოური ფუძეა გამოყენებული, გაფორმება კი ქართულია.

ამ შემთხვევაში ზმნის პირიანი ფორმები ქართულში გადმოცემულია როგორც აღწერითი, ისე ორგანული წარმოებით.

აღწერითი წარმოებისა:

| | | | |
|-------------|-------------------|--------|-------------|
| агитировать | — აგიტაციის უწევს | გაწევა | — აგიტაციას |
|-------------|-------------------|--------|-------------|

| | |
|----------------|--|
| рецензировать | — რეცენზიის გაკეთება — რეცენზირება — რეცენზიას უკეთებს |
| регистрировать | — რეგისტრაციაში გატარება — რეგისტრაციაში ატარებს და სხვ. |

ორგანული წარმოებისაა:

| | |
|--------------------|--|
| а) пломбировать/ся | — დაპლომბვა — პლომბავს — იპლომბება |
| плиссировать/ся | — დაპლისვა — პლისავს — იპლისება |
| б) конспектировать | — დაკონსპექტება — აკონსპექტებს |
| бетонировать | — დაბეტონება — აბეტონებს |
| в) локализовать/ся | — ლოკალიზება — ალოკალიზებს — ლოკალიზდება |
| нивелировать/ся | — ნიველირება — ანიველირებს — ნიველირდება და სხვ. |

აღნიშნული სიტყვები უცხოური ზმნებისაგან მომდინარეობს. რუსულში -овать დაბოლოება გვხვდება როგორც საკუთრივ რუსული, ისე სხვა ენებიდან ნასესხები ზმნების ინფინიტივში. საკუთრივ რუსული ზმნების ნიმუშებია:

| | |
|----------------|-------------------|
| рисовать | свидетельствовать |
| требовать | орудовать |
| радовать | ликовать |
| праздновать | уродовать |
| способствовать | приветствовать |

მაგავსი წარმოებისაა пробовать, номеровать, фабриковать, титуловать, ოღონდ აქ ზმნის ფუძეა რუსული, ამოსავალი სახელი კი ნასესხებია.

ნასესხებ ზმნებში ამავე დაბოლოების მაგალითებია:

| | |
|---------------|-----------------|
| цитовать | корректировать |
| пассовать | контролировать |
| конфисковать | комбинировать |
| рекомендовать | информировать |
| штудировать | зондировать |
| реагировать | домонстрировать |
| реформировать | препарировать |
| провоцировать | ассимилировать |

- | | |
|--|---|
| <p> аннулировать симулировать пропагандировать реставрировать реконструировать оппонировать ликвидировать редактировать кооперировать узурпировать 3. кодифицировать квалифицировать классифицировать ратифицировать электрофицировать модифицировать мистифицировать </p> | <p> 4а. акклиматизировать механизировать муниципализировать конкретизировать иронизировать палатализировать назализировать 4б. организовать мобилизовать централизовать легализовать локализовать ревизовать парализовать дезорганизовать электризовать </p> |
|--|---|

ნასესხებ ზმნათა ჯგუფში -овать დაბოლოების მოცილების შემდეგ დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს სათანადო გერმანული ზმნის ფუძეს: -ир რუსულმა მიღო გერმანულისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, იგი უმეტეს შემთხვევაში ნასესხები აქვს ფრანგულიდან (ამჟამად ამ უკანასკნელში იგი აღარ არის).

შდრ.:

| | |
|---|---|
| <p> ფრანგ. organiser zentraliser localiser réaliser neutraliser desorganiser mobiliser ironiser restaurer qualifier classifier mistifier acclimater </p> | <p> და გერმ. organisieren zentralisieren localisieren realisieren neutralisieren desorganisieren mobilisieren ironisieren restaurieren qualifizieren klassifizieren mistifizieren akklimatisieren </p> |
|---|---|

როდესაც გერმანულში -ig-ს წინ -iz უძღვის, რუსულში, ერთი მხრივ, ორივე შემონახულია:

| | |
|---------------------|---------------------|
| акклиматизировать | индустриализировать |
| автоматизировать | колонизировать |
| активизировать | конкретизировать |
| анализировать | латинизировать |
| демократизировать | механизировать |
| детализировать | муниципализировать |
| индивидуализировать | иронизировать |

მეორე მხრივ, გვხვდება პარალელური ფორმებიც სადაც -ир მოკვეცილია:

| | |
|-------------------|--------------------|
| легализировать | და легализовать |
| локализировать | და локализовать |
| милитаризировать | და милитаризовать |
| кристаллизировать | და кристаллизовать |

საერთოდ კი რუსული იჩენს ტენდენციას -ир მოკვეცოს და ფუძედ გამოიყენოს დარჩენილი ნაწილი. მაგ.:

| | |
|----------------|-----------------------|
| организовать | легализовать |
| мобилизовать | локализовать |
| централизовать | дезорганизовать |
| парализовать | электризовать და სხვ. |

სხვა შემთხვევების ნიმუშები იქნებოდა: шитовать, რომელსაც ზოგჯერ ხმარობენ цитировать-ის პარალელურად; конфисковать, რომელიც უშუალოდ უნდა ემყარებოდეს ფრანგულ confisquer (შდრ. გერმ. konfiszieren); ревизовать, რომელიც აგრეთვე ფრანგულ reviser-ს ეყრდნობა, თუ რუსულ ნიდაგზე არ არის ხაწარმოები ревизия სახელისაგან; ყოველ შემთხვევაში, გერმ. revidieren-ის ფუძე არ არის რუსულ ზმნაში გამოყენებული.

შენიშვნა: ამ რიგის მავალითების განხილვისას მხედველობაში არ მიიღება ისეთი შემთხვევები, როგორცაა пробовать номеровать, титуловать..., რომლებიც რუსულში ნაწარმოებია სათანადო ნასესხები სახელებისაგან, ზმნის ფუძე კი აქ ნასესხები არ არის.

-ировать,-изировать (изовать)-დაბოლოებიან უცხო სიტყვათა გამოცემისას ქართულში პარალელური ფორმები გვხვდება:

| | |
|--------------|-------------------------|
| დაპროექტება | და პროექტირება |
| მექანიზება | და მექანიზირება |
| ორგანიზებული | და ორგანიზაციაქმნილი |
| აკონტროლებს | და კონტროლს უწევს |
| ამობილიზებს | და მობილიზაციას ახდენს. |

ამასთან დაკავშირებით ქართულში მოწესრიგებას მოითხოვს უცხოური წარმოშობის ზმნური ფორმებისა და მათგან ნაწარმოები სახელების წარმოების საკითხი.

I. ზმნური ფორმების წარმოება

ზმნის პირიანი ფორმის ორგანული წარმოებისას ქართულში ფუძედ გამოყენებულია უცხოური სახელი ან უცხოური ზმნის ფუძე და გაფორმება ქართული.

1. საწარმოებლად სახელია გამოყენებული

(დაპროექტება თუ პროექტირება?)

თუ სათანადო ზმნის ფუძე სახელია და ეს სახელი ქართულშიც გვაქვს (მაგ., *пломбировать* — პლომბი — პლომბავს), მარტივი ფორმის წარმოება ადვილად ხერხდება საამისო ქართული აფიქსების საშუალებით. მოქმედებითი გვარის საწარმოებლად გამოყენებულია -ავ სუფიქსი (სათანადო ვნებითი ინიანი წარმოებისა) და ა-ებ-პრეფიქს-სუფიქსი (ვნებითი დონიანი).

ა) -ავ-სუფიქსიანი წარმოება:

бомбардировать ბომბი — [და]-ბომბ-ავ-ს, დაბომბვა
იბომბება, დაბომბილი

пломбировать პლომბი — [და]-პლომბ-ავ-ს, და-
პლომბვა [და]-ი-პლომბება, და-
პლომბილი

-ავ-სუფიქსიანი წარმოება აღნიშნული ტიპის ზმნებში შედარებით იშვიათია. ამჟამად ახალ სიტყვათა საწარმოებლად მეტად პროდუქტიულია ა-ებ-აფიქსებიანი წარმოება.

ბ) ა-ებ-აფიქსებიანი წარმოება:

конспектировать კონსპექტი — [და]-ა-კონსპექტ-ებ-ს,
დაკონსპექტება, დაკონსპექტებუ-
ლი

бетонировать ბეტონი — [და]-ა-ბეტონ-ებ-ს, და-
ბეტონება, დაბეტონდება, დაბე-
ტონებული

| | |
|--|--|
| გ) იშვიათად გამოყენებულია სათანადო ზედსართავი სახელიც: | |
| германизирует | გერმანული — [გა]-ა-გერმანულ-ებ-ს, გაგერმანულება |
| латинизирует | ლათინური — [გა]-ა-ლათინურ-ებ-ს, გალათინურება |
| интенсифицирует | ინტენსიური — [გა]-ა-ინტენსიურ-ებ-ს, გაინტენსიურება |
| лабиализует | ლაბიალური — [გა]-ა-ლაბიალურ-ებ-ს, გალაბიალურება |

მაგრამ:

| | |
|------------------|--|
| конкретизировать | კონკრეტული — [და]-ა-კონკრეტ-ებ-ს, დაკონკრეტება |
|------------------|--|

აღნიშნული წარმოების საილუსტრაციოდ:

бомбардировать:

ამერიკის ავიაციამ მხეცურად დაბომბა კორეის ჩრდილოეთი ნაწილის ქალაქები („კომ.“). ავიაციამ დაბომბა რკინიგზის ხიდები, სამხედრო ეშელონი... („კომ.“).

анализировать:

იგი შეცნეირულად აანალიზებს მის გარშემო მომხდარ მოვლენებს („ლიტ. გაზ.“).
გაეანალიზოთ ახლა თვითონ ეს „პირველი მომენტის აქტი“... (ფსიქ. IX).

бетонировать:

დააბეტონეს არხის ბოლო გვირაბები („კომ.“).

асфальтировать:

მოასფალტდა ქუჩები და ტროტუარები („კომ.“).
მოასფალტდება გზა საჩხერიდან კურორტამდე („კომ.“).
მიმდ. თქვენს წინაშეა მოასფალტებული მოედანი... („კომ.“).

конкретизировать:

სწრაფი ტემპით აკომპლექტებენ დარბაზს ყველა საჭირო ინვენტარით („კომ.“).
არ დაუკომპლექტებიათ სატრექტორო ბრიგადები („კომ.“).
ნაკრები ძირითადად ორი გუნდისაგან... დაკომპლექტდა („თბ.).
ადვილად შეიძლება ყველა სპეციალობის მალაკვალიფიციური კადრებით დავაკომპლექტოთ... საბჭოთა მეურნეობა („კომ.“).

конкретизировать:

ამ... ზოგად დებულებას უნგელსი აკონკრეტებს (საბ. კავშ. ისტ.).

конспектировать:

ვაკონსპექტებდი მითითებულ ლიტერატურას („კომ.“).

МОНТИРОВАТЬ:

საწარმოში ამონტაჟებენ სპეციალურ დანადგარს წვრილფორიანი წილის სამრეწველო წარმოებისათვის („კომ.“).

проектировать:

ახალი მძლავრი ტურბინი დააპროექტეს... ქარხნის კონსტრუქტორებმა („კომ.“). დააპროექტეს სამანქანო გზა... („კომ.“).

ინჟინერთა ჯგუფმა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დააპროექტა სპეციალური მექანიზმი... (კომ.“).

პროექტდება იუველირულ და ქვის ნაკვეთ მხატვრულ ნაკეთობათა სამი დიდი მექანიზებული ქარხნის აგება... („ახ. კომ.“).

финансировать:

... ბანკები მათ ვერ დააფინანსებენ („კომ.“).

брикетировать:

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის დაბრიკეტება („კომ.“).

დაბრიკეტება მაღალხარისხოვნად მოახდინეს („კომ.“).

ამგვარი წარმოება მეტად მარტივია და მოხერხებული და გამართლებულია ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. ქართულში -ავ და ა-ებ აფიქსები სახელისაგან აწარმოებს ზმნებს.

ა) -ავ სუფიქსი გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნების საწარმოებლად, სათანადო ვნებითი ი-პრეფიქსით იწარმოება:

ცელი — ცელავს, იცელება

ბარი — ბარავს, იბარება

ფარცი — ფარცავს, იფარცება

ფარგალი — ფარგლავს, იფარგლება

წებო — წებავს, იწებება

შოლტი — შოლტავს, იშოლტება

ჩარხი — ჩარხავს, იჩარხება

საზღვარი — საზღვრავს, ისაზღვრება

ნიშანი — ნიშნავს, ინიშნება

მური — მურავს, იმურება

ამგვარად ნაწარმოები ფორმების ჩვეულებრივი მნიშვნელობაა: სახელით აღნიშნული საგანი არის იარაღი, მასალა ან საშუალება, რითაც რაღაც კეთდება.

ბ) სახელისაგან მოქმედებითი გვარის ზმნებს აწარმოებს აგრეთვე ა-ებ აფიქსებიც. სათანადო ვნებითი თითქმის ყოველთვის -და-სუფიქსიანია. ეს წარმოება თანამედროვე ქართულისათვის აქტუალურია, -ავ-ით წარმოება კი ძველია და ამჟამად ნაკლებხმარებული.

წითელი — აწითლებს, წითლდება,
 ლურჯი — ალურჯებს, ლურჯდება
 მძიმე — ამძიმებს, მძიმდება
 მაგარი — ამაგრებს, მაგრდება
 ოხერი — აოხრებს, ოხრდება
 შეშა — აშეშებს, შეშდება
 მდიდარი — ამდიდრებს, მდიდრდება
 ძმარი — ამძარებს, ძმარდება
 გუბე — აგუბებს, გუბდება
 ფითრი — აფითრებს, ფითრდება
 ჰიანური — აჰიანურებს, ჰიანურდება
 ქირა — აქირავებს, ქირავდება
 ფასი — აფასებს, ფასდება
 თარიღი — ათარიღებს, თარიღდება
 კისერი — აკისრებს, კისრდება

ამგვარად ნაწარმოებ ფორმათა ძირითადი მნიშვნელობაა: იმ ნიშნის მატარებლად გადაქცევა, რომელიც სახელშია მოცემული, მაგ.:

გააწითლა — წითელი გახდა
 (გაწითლდა — წითელი გახდა)
 გამაგრა — მაგარი გახდა
 (გამაგრა — მაგარი გახდა)...

ეს მნიშვნელობა ერთადერთია, როცა სახელი თვისებას აღნიშნავს. სხვა მდგომარეობაა ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: აქირავებს; აფასებს, ათარიღებს, აკისრებს...

აქირავებს — ქირით აძლევს, აფასებს — ფასს აწესებს, ფასეულად თვლის, ათარიღებს — თარიღს არკვევს, უსვამს, ასაფლავებს — საფლავში ათავსებს, მარხავს და სხვ.

ეგევე მნიშვნელობა აქვთ ამ აფიქსებს ზემოაღნიშნული ტიპის ზმნების წარმოებისას.

ამგვარი წარმოების პარალელურად გვხვდება ფორმები, სადაც უცხოური ზმნის -ირ შემონახულია, ე. ი. ზმნის ფუძედ უცხოური ზმნის ფუძეა გამოყენებული.

გვაქვს:

| | | |
|--------------|----|--------------|
| გაკრისტალება | და | კრისტალიზება |
| განალიზება | და | ანალიზირება |
| დაპროექტება | და | პროექტირება |
| დაავანსება | და | ავანსირება. |

პირველი ფორმები უფრო მარტივია და ბუნებრივი ქართული-სათვის, ამათგან ზმნის პირიან ფორმათა წარმოება უფრო მოსახერხებელია. მეორე წყების ფორმათაგან კი (**ანალიზირება, პროექტირება**) ზმნის პირიანი ფორმები შედარებით ხელოვნური ჩანს, ამიტომ უპირატესობა ამ შემთხვევებში პირველი რიგის ფორმებს უნდა მიეცეთ (**დაპროექტება, დაავანსება, და არა: პროექტირება, ავანსირება**).

მაშასადამე, თუ უცხოური ზმნა სახელისაგან მომდინარეობს და ეს სახელი ქართულშიც გვაქვს, ზმნა სახელისაგან უნდა ვაწარმოოთ ქართულში **-ავ** და უპირატესად **ა—ებ** მაწარმოებლების საშუალებით. ამის მიხედვით გვექნება:

ა) **-ავ** სუფიქსი მოქმედებითი გვარის ზმნის შინაარსის გადმოსაცემად, როცა ზმნის ფუძე სახელადაც გვაქვს ნასესხები:

| | | |
|----------------|---|---|
| бомбардировать | — | ბომბი — ბომბავს, იბომბება, დაბომბვა, დაბომბილი |
| плиссировать | — | პლისე — პლისავს, იპლისება, დაპლისვა, დაპლისილი |
| пломбировать | — | პლომბი — პლომბავს, იპლომბება, დაპლომბვა, დაპლომბილი |
| зондировать | — | ზონდი — ზონდავს, ზონდვა |
| никелировать | — | ნიკელი — ნიკლავს, მონიკვლა, მონიკლული |
| платинировать | — | პლათინა — პლათინავს, მოპლატენა, მოპლატნული |
| нумеровать | — | ნომერი — ნომრავს, ინომრება, დანომრა, დანომრილი |
| фильтровать | — | ფილტრი — გაფილტრავს, იფილტრება, გაფილტვრა, გაფილტრული |
| критиковать | — | კრიტიკა — აკრიტიკებს, გაკრიტიკება, გაკრიტიკებული |

ბ) **ა—ებ** აფიქსები, როცა ზმნის ფუძე სახელადაც გვაქვს ნასესხები:

| | | |
|-------------------|---|--|
| авансировать | — | ავანსი — [და]აავანსებს, დაავანსება ავანსირება |
| амальгамировать | — | ამალგამა — [და]აამალგამებს, დაამალგამება. |
| амальгамирование | — | დაამალგამება |
| амальгамированный | — | დაამალგამებული |

| | | |
|--------------------|---|---|
| балансировать | — | ბალანსი — [და]აბალანსებს, დაბალანსება |
| бальзамировать | — | ბალზამი — [და]აბალზამებს, დაბალზამება |
| баррикадировать | — | ბარიკადა — [და]აბარიკადებს, დაბარიკადება |
| баррикадироваться | — | დაბარიკადდება; დაბარიკადება |
| бетонировать | — | ბეტონი — [და]აბეტონებს დაბეტონება |
| брикетировать | — | ბრიკეტი — [და]აბრიკეტებს, დაბრიკეტება |
| гипнотизировать | — | ჰიპნოზი — [და]აჰიპნოზებს, დაჰიპნოზება |
| ионизировать | — | იონი — [და]აიონებს, დაიონება იონიზება |
| конкретизировать | — | [და]აკონკრეტებს |
| конкретизироваться | — | [დაკონკრეტდება] { დაკონკრეტება |
| консервировать | — | კონსერვი — [და]აკონსერვებს, დაკონსერვება, დაკონსერვებული |
| консервированный | — | კონსპექტი — [და]აკონსპექტებს, დაკონსპექტდება |
| конспектировать | — | კონსპექტი — [და]აკონსპექტებს, დაკონსპექტდება |
| кристаллизовать | — | კრისტალი — [და]აკრისტალდებს, (გა)დაკრისტალდება, დაკრისტალ-ლებული |
| комплектовать | — | კომპლექტი — [და]აკომპლექტებს, დაკომპლექტება |
| монтировать | — | მონტაჟი — [და]ამონტაჟებს, და-მონტაჟება, დამონტაჟებული |
| матрицировать | — | მატრიცა — [და]ამატრიცებს, და-მატრიცება |
| проектировать | — | პროექტი — [და]აპროექტებს, დაპროექტება, დაპროექტებული |
| секционировать | — | სექცია — [და]ასექციებს, დასექ-ციება, დასექციებული |
| финансировать | — | ფინანსი — [და]აფინანსებს, და-ფინანსება, დაფინანსებული |
| электризовать | — | 1 [და]აელექტროებს, დაელექტრო-ება [და]ელექტროვდება, დაელექტ-როებული |

| | |
|-------------------------------------|--|
| асфальтировать | — ასფალტი — მოასფალტებს, მოასფალტება, მოასფალტებული |
| аллюминирование аллюминированный | — ალუმინი — მოალუმინება, მოალუმინებული |
| озонировать | — ოზონი — [გა]ოზონებს, გაოზონება |
| орнаментировать | — ორნამენტი — მოაორნამენტებს, მოაორნამენტება (მოჩუქურთმება) |
| пролетаризовать | — პროლეტარი — [გა]აპროლეტარებს, გაპროლეტარება |
| ремонттировать | — რემონტი — [გა]არემონტებს, გარემონტება (შეკეთება) |
| цементировать | — ცემენტი — აცემენტებს, დაცემენტება |
| шаржировать анализировать | — შარჟი — აშარჟებს, გაშარჟება — ანალიზი — აანალიზებს, გაანალიზება |
| идеализировать | — იდეალი — [გა]აიდეალებს, გაიდეალება |
| логарифмировать | — ლოგარითმი — ალოგარითმებს, გალოგარითმება |

გ) ა—ებ აფიქსები, როცა ზმნის ფუძედ სათანადო ზედსართავი სახელია გამოყენებული:

| | |
|---------------------|--|
| германизировать | — გერმანული — აგერმანულებს, გაგერმანულება. |
| латинизировать | — ლათინური — გაალათინურებს, გაალათინურება. |
| интенсифицировать | — ინტენსიური — აინტენსიურებს, გაინტენსიურება |
| индивидуализировать | — ინდივიდუალური — აინდივიდუალურებს, გაინდივიდუალება. |
| лабиализировать | — ლაბიალური — ალაბიალურებს, გალაბიალურება. |
| легализовать | — ლეგალური — ალეგალურებს, გალეგალურება |

დ) -ობ სუფიქსი საშუალო გვარის გამოსახატავად:

4. ხმოვნის წინ მდგომი ან ხმოვანთა შორის მოქცეული უ ფონემა ქართულში ვ თანხმოვნით უნდა გადმოიცეს. მაგალითად, გვარები: გირვაფშ-ი, ივანბა, ვოუბა, ვანაჭა, აგუხოვა...; სახელები: ივა, ლევა, ვარმათ-ი, ლევარსან-ი, ვარდახან-ი, ვარლა...; ტოპონიმები; ავადშარა, ვაზბაა და სხვ.

5. ფუძისეული ჯ ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნო უა დაბოლოება გვარებისა ქართულში უა კომპლექსით უნდა გადმოიცეს. მაგალითად: ანუა, აშხარუა, აშვანუა, შანგუა, ხანაგუა, ხუნდუა, ჯოპუა, ჯონუა და სხვ. ასევე უნდა გადმოიცეს გვარი შოუა, რომელიც აფხაზურში ორ უ-ს შეიცავს.

VI. ორი ა ხმოვნის ქართულად გადმოცემა

აფხაზურ გვარებსა და ტოპონიმებში ხშირად გვხვდება ორი ა ხმოვანი. ქართულად ამგვარ სახელთა გადმოცემისას ეს ორი ა ხმოვანი ვ თანხმოვნით არ უნდა განიკვეთოს (თუ, რა თქმა უნდა გვარი ქართველური წარმოშობისა არ არის!). მაგალითად, გვარები: აშვხვაწა, აბლაჯაა, აგუმაა, ატვმაა, აქირთაა, აშხარაა, ბარმიშაა, გერწმაა, კარხალაა, კაჭაბაა, კურკუნაა, მან-ი//მარღანია, პაპცაა...; ტოპონიმები: ვაზბაა, აბააჟვახუ ლდაა (და არა ლიძავა!), ანუა-რხუ, ოსიაა-რხუ, აბააქით-ი და სხვ.

VII. ჯ ხმოვნის ქართულად გადმოცემა

აფხაზურის ჯ ხმოვანი ქართულად ი ხმოვნით უნდა გადმოიცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც ზემოთ აღინიშნა (იხ. ლაზილიზებულ ფონემათა გადმოცემის შესახებ, პუნქტი I ბ). მაგალითად, გვარები: აბიჯბა, თირქბა, ქიფე-იფა, ხიშბა, ჯიკირბა...; სახელები: კამაჭიჭ-ი, სეიდიყ-ი, ღიკურ-ი, კუჭირ-ი, ფელდიშ-ი, სთიჩკვა, ჩიკა...; ტოპონიმები: აფსნი, აბააქით-ი, აგურიბზა, აქიდრა, ბზიფთა, ალაშაძი (და არა ალაშაძე ან ალახაძე!), აღძიხ-ი, ეშირა (და არა ეშერა!), ლხინი, მაშადირ-ი (და არა მესადირი!), მისრა (და არა მიუსერა!) და სხვ.

ამ სახელთაგან ანალოგიური წარმოების ზმნების ფორმები სავსებით კანონზომიერია:

კონტროლი — აკონტროლებს — გაკონტროლება
დისონანსი — ადისონანსებს — გადისონანსება
ლიმიტი — ალიმიტებს — დალიმიტება
პროტეზი — აპროტეზებს — დაპროტეზება.

ეს ფორმები მართებულია და ზეპირ მეტყველებაში ხმარებული, ამიტომ სალიტერატურო ენაშიც შეიძლება ვიხმაროთ ნაცვლად აღწერითი ფორმებისა ან მათს პარალელურად.

რეკომენდება, რეკომენდებული თუ რეკომენდირება, რეკომენდირებული?

გვხვდება პარალელური ფორმები:

რეკომენდება და რეკომენდირება

რეკომენდებული და რეკომენდირებული

რეკომენდებული(ა):

ბოლოში მოყვანილია... რეკომენდებული ლიტერატურის აღფაბეტური მაჩვენებელი... („კომ.“). რეკომენდებულია მოეწყოს ლიტერატურული და თემატური დილები და საღამოები („ახ. კომ.“). დღის წესრიგი გადატვირთულია რეკომენდებული საკითხებით („კომ.“).

რეკომენდირებული(ა):

ჟიურის მიერ რეკომენდირებულმა პესამ ვერ დააკმაყოფილა ჩვენი მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილება („ლიტ. ხელ.“). რეკომენდირებულია ბავშვთა თვითმოქმედებითი გამოსვლების მოწყობა („სახ. გან.“).

უფრო სწორია **რეკომენდება, რეკომენდებული** ფორმები:

რუსულში -ირ ელემენტი ზმნის ფუძეში არა გვაქვს — **рекомендовать** ლათინურიდან (*recomende*) უნდა მომდინარეობდეს (ფრანგულშია *recommender*). შესაბამისად გვექნება:

რეკომენდება (და არა რეკომენდირება)

რეკომენდებული (და არა რეკომენდირებული)

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ზმნის პირიანი ფორმების წარმოება სახელისაგან ნაწარმოებ ზმნებს ვერ გაუთანაბრდება, ვინაიდან ზმნის ფუძე (**რეკომენდ-**) სახელის სახით ქართულში ნასესხები არა გვაქვს. წარმოება აწერითია: **рекомендовать** — „რეკომენდაციას აძლევს“.

2. საწარმოებლად ზმნის ფუძეა გამოყენებული.

ქართულში აბსოლუტურ უმრავლესობას აღწერთი ფორმები შეადგენს, — იმ შემთხვევაში, როცა რუსული ზმნის შესაბამისი სახელი ქართულში არ გაგვაჩნია, მაგ.:

| | | |
|------------------|---|---------------------------------------|
| ликвидировать | — | ლიკვიდაციას ახდენს |
| гарантировать | — | გარანტიას აძლევს |
| информировать | — | ინფორმაციას აწვდის |
| оперировать | — | ოპერაციას უკეთებს |
| мобилизовать | — | მობილიზაციას ახდენს |
| оккупировать | — | ოკუპაციას ახდენს |
| кодифицировать | — | კოდიფიკაციას ახდენს |
| классифицировать | — | კლასიფიკაციას ახდენს |
| квалифицировать | — | კვალიფიკაციას ამოწმებს (ან ახდენს)... |

აღწერთი ფორმების უხერხულობა იმთავითვე იგრძნობოდა, განსაკუთრებით, ნაზმნარი სახელისა და ვნებითი მიმღებობის წარმოებისას.

აღწერთი ფორმების ნაცვლად ქართულში შემუშავდა ორგანული წარმოება, ფუძედ გამოყენებული იქნა ის მასალა, რომელიც რჩება რუსულში -ОВАТЬ დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ, — ე. ი. უცხოური ზმნის ფუძე.

მოქმედებითი გვარის ზმნების საწარმოებლად გამოყენებულია —ებ პრეფიქს-სუფიქსი, ხოლო შესაბამისი ვნებითი დ-სუფიქსიანია. მაგალითად:

| | | |
|---------------------|---|---|
| ассимилировать/ся | — | ასიმილირება — აასიმილირებს — ასიმილირდება |
| нивелировать/ся | — | ნიველირება — ანიველირებს — ნიველირდება |
| автоматизировать/ся | — | ავტომატიზება — აავტომატიზებს — აავტომატიზდება |
| легировать | — | ლეგირება — ალეგირებს |
| капитализовать | — | კაპიტალიზება — აკაპიტალიზებს |
| детализировать | — | დეტალიზება — ადეტალიზებს |

მაგალითები:

დიდი ტვინის ჰემისფერობის ქერქი არ ე გ უ ლ ი რ ე ბ ს შინაგანი ორგანოების მოქმედებას („კომ.“). ეს წყალსაცავი არ ე გ უ ლ ი რ ე ბ ს დონის ჩაღინებას („კომ.“). სწორად არ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ნ მუხრუჭებს („კომ.“). ლითონის ბრწყალი

ილუნება, მისი ბასრი კბილები ჭრილის კიდეებში ერჭობა და მათ აფიქსირებს (ოპერ. ქირ.). ...ლექსერი სისხლძარღვის ირგვლივ დოლბანდის ვიწრო ზოლს ახვევს და ჰეპტერნის მამით აფიქსირებს. (იქვე). მესამე ვარიანტი... დღის წესრიგს აფორმულირებს უაღრესად ზოგადი ბუნდოვანი სიტყვებით („კომ.“). ...**(მ)** ფიზიოლოგიური წარმოშობით „ს“-ს მსგავსია და უკანასკნელს იასიმილირებს (ფსიქ., IX). ...ქ... მის მეზობელ წინამავალ „გ“ ბგერას თავისი ბუნების შესაფერისად იასიმილირებს (იქვე). სიტყვაში „გვერდი“... მომღვენო „ქ“ ბგერა იასიმილირებს „გ“-ს (იქვე).

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანული წარმოება უფრო ხშირია ვნებითი გვარის ზმნების გადმოსაცემად:

| | | | | |
|------------------|---|-------------|---|--------------|
| мобилизоваться | — | მობილიზება | — | მობილიზდება |
| механизироваться | — | მექანიზება | — | მექანიზდება |
| изолировать | — | იზოლირება | — | იზოლირდება |
| деформироваться | — | დეფორმირება | — | დეფორმირდება |

და სხვ.

ვნებითის ფორმები:

მათ შორის სულ სხვა ბგერა არტიკულირდება (ფსიქ., IX). მთლიანი სიტყვის წარმოთქმაშიც მხოლოდ ერთი იდენტური ფონემა არტიკულირდება (იქვე). ...რიგის დასახელებაშიაც ეს შინაარსი მხოლოდ ერთხელ პროდუქტირდება (იქვე). ...ბგერა, რომელიც მანამდე ერთი ქვილიტეტის სახითიყო განცილილი... პირველ ადგილზე რეპროდუქტირდება... (ფსიქ., IX). არტერია პროდუცირდება ხაზზე, რომელიც იდლიის ფოსოს მწვერვალს იდაყვის წერტილთან აერთებს (ოპერ. ქირ.). არტერია პროდუცირდება ე. წ. კვენის ხაზზე (იქვე). მისი დისტალური ბოლო საღი მყვის ხელოვნურ ნაბრალში ტარდება და კვანძოვანი ნაკერით ფიქსირდება (იქვე).

ბუმბულის წარმოშობის შემდეგ დამცველი შრე ვარდება, თვით ბუმბული კი ფორმირდება წარმოქმნილი შრისაგან (ანთ. მეფერ.) აფიქსის ხმოვანი ეასიმილირება ფუძის ხმოვანს (ზოგ. ფონ. შეს.). -ურ-ის რარდისიმილირდება... (იქვე) ...ლ—ლ დისიმილირდება რ-ს საშუალებით (ზოგ. ფონ. საფ.). თუ სიტყვის იდენტური ფორმებიდან ერთერთი იცვლება და, მაშასადამე, ერთნაირები დისიმილირდებიან... (ფსიქ., IX). იგი გაცილებით ძნელად სულფირდება... (აკად. მოამბე, III). სინათლით მოგლეჯილი ელექტრონი... მაშინვე რეკომბინირდება მეზობელ იონებთან... (იქვე). უმაღლესი ნერვული მოქმედების საშუალებით რეგულირდება ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესები („კომ.“). კინოფურნალისათვის კარგად რედაქტირდება სადიქტორო ტექსტი... („კომ.“).

საშუალო გვარის გადმოსაცემად გამოყენებულია -ებ და -ობ სუფიქსები.

მაგალითად:

| | | |
|-------------|---|-------------|
| вибрирует | — | ვიბრირ-ებ-ს |
| гармонирует | — | ჰარმონირებს |

| | |
|---------------|-----------------|
| реагирует | — რეაგირებს |
| фигурирует | — ფიგურირებს |
| функционирует | — ფუნქციონირებს |
| циркулирует | — ცირკულირებს |

ის უშუალოდ რეაგირებს ცილის მოლეკულასთან... (აკად. შოამბე, X). ცხენოსნობის კლასიკური სახეობები... ოლიმპიურ პროგრამაში ფიგურირებენ... („ლელო“).

-ებ ქართულში ზმნის ფუძეთაგან აწარმოებს საშუალო გვარის ზმნებს, მაგალითად:

ბრიალებს
კრიალებს
ტრიალებს
სრიალებს
კანკალებს
ცახცახებს და სხვ.

უცხოური წარმოშობის ზმნებთანაც -ებ სუფიქსი საშუალო გვარის ზმნათა საწარმოებლად საეხებით გამართლებული ჩანს.

II. სახელების წარმოება

ზემოხსენებული ტიპის ზმნათა პირიანი ფორმები ქართულში უფრო ხშირად აღწერთი წარმოებით გადმოიცემა, ორგანულ ფორმებს კი სათანადო სტილისტიკური საჭიროებისდა მიხედვით მიმართავენ. რუსული ინფინიტივი და ნაზმნარი სახელი ქართულში, როგორც წესი, ორგანული წარმოებით გადმოიცემა (регулировать, регулирование—რეგულირება).

ეს ფორმები დამკვიდრებულია ქართულში და ფართოდაა გავრცელებული.

მაგალითები პრესიდან:

დიდი ყურადღება მიექცევა სოფლების ელექტროფიცირებასა და რადიოფიცირებას („კომ.“). დარჩენილი სოფლების ელექტროფიცირება მიმდინარე წელს დამთავრდება („კომ.“).

არის აგრეთვე მოწყობილობა აეროდრომზე ბრმად დასაშვებად და ფრენის დროს ავტომატური პილოტირებისათვის („კომ.“). განხორციელებული იქნება სოფლების მთლიანი რადიოფიცირება, („კომ.“). ქუჩებში ტრანსპორტისა და მოქალაქეთა მიმოსვლის რეგულირებისათვის უკვე დიდი ხანია, რაც დაიდგა ნიშანსვეტები ფერადი სივანელებით („კომ.“). ტრანსპორტირების დროს კარგად უნდა შეიფუთოს ნერგების ფესვები, რათა არ გამოშრეს („კომ.“). ...ხეტყის ტრანსპორტირება სამთო პორიზონტამდე კვლავ გვიფერხდება („კომ.“).

ამან საშუალება მოგვცა... დაგვეჩქარებინა ქვანახშირის ტრანსპორტირება („კომ.“). შიშველი აღმინისტრირება („ახ. კომ.“). 3 მაისს შედგა საბჭოთა კინოსურათის „მიფრინავენ წეროების“ დემონსტრირება („ახ. კომ.“). სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებით შეიძლება ულტრაბგერების ენერჯის კონცენტრირება („ახ. კომ.“). მიმდინარეობს ორიგინალური ზუსტი ხელსაწყოების კონსტრუირება („ახ. კომ.“).

საჭიროა უფრო ენერგიული შეტევის ორგანიზება მეტოქეზე („ახ. კომ.“). ვაზი გასხლეს როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი ფორმირების წესით („კომ.“). მიღებულია ზომები სპეციალისტების მხრივ დედნების რეცენზირებისა და რედაქტირების საქმის გაუმჯობესებისათვის („კომ.“).

მექანიზირება, მექანიზირებული თუ მექანიზება, მექანიზებული?

როდესაც რუსულ ინფინიტივში დაბოლოებად გვაქვს -из-овать (-ир შეკვეცილია), ქართულშიც სათანადო სიტყვები, ჩვეულებრივ, შეკვეცილი სახითაა გადმოცემული:

| | | |
|----------------|---|--------------------|
| организовать | — | ორგანიზება |
| мобилизовать | — | მობილიზება |
| централизовать | — | ცენტრალიზება |
| легализовать | — | ლეგალიზება |
| локализовать | — | ლოკალიზება |
| парализовать | — | პარალიზება და სხვ. |

თუმცა ზოგჯერ -იზირ ფორმებიც არის.

თუ რუსულში გვაქვს изировать, ქართულში პარალელური ფორმები გვხვდება -იზირება და -იზება (-ირ-მოკვეცილი) დაბოლოებით:

| | | |
|----------------|----|--------------|
| ავტომატიზირება | და | ავტომატიზება |
| მექანიზირება | და | მექანიზება |
| აქტივიზირება | და | აქტივიზება |

მიმღებობში:

| | | |
|------------------|----|----------------|
| ავტომატიზირებული | და | ავტომატიზებული |
| მექანიზირებული | და | მექანიზებული |
| აქტივიზირებული | და | აქტივიზებული |

საილუსტრაციოდ:

აქტივიზირებული საომარი მოქმედება. („კომ.“). ამერიკელთა მეტოქე მექანიზირებული ნაწილები („კომ.“). მექანიზირებული ტვირთვა („კომ.“). მას მოუხდა პირუტყვის მექანიზირებული ფორმისათვის სარწყულების გაკეთება... („ახ. კომ.“). ნაციონალიზირებული მრეწველობა („კომ.“). ყველა ზღაპარი სტილიზირებულია („ლიტ. ვაზ.“). რემილიტარიზი-

რებულ იქნა დასავლეთი გერმანია გადაიქცევა პირდაპირ საფრთხედ ევროპის მშვიდობისათვის („კომ.“).

მეორეს მხრივ, -იზება:

იგი მთლიანად ავტომატიზებულია („ახ. კომ.“). მექანიზებულია ღორის კვება... („კომ.“). ქარხანაში ყველა ძირითადი სამუშაო მექანიზებულია („კომ.“). განუზომლად გაადიდებდა ახალი ომის საფრთხეს რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის ჩაბმა სამხედრო დაჯგუფებაში („კომ.“). პროექტი გზას უხსნის იმას, რომ... რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია შეიყვანონ დასავლეთ სახელმწიფოთა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებაში („კომ.“).

-ირ-შეკვეცილი ფორმები (მექანიზება, მილიტარიზება, მექანიზებული, მილიტარიზებული) ქართულში უფრო გავრცელებულია. მათი ხმარება სავსებით გამართლებულია და მისაღები. რუსულშიც, როგორც აღინიშნა, არის ტენდენცია ამგვარი შეკვეცილი ფორმების ხმარებისა.

ამ შემთხვევაში ქართულშიც უპირატესობა უნდა მივცეთ -ირ-შეკვეცილ ფორმებს, გავრცელებისა და სიმარტივის საფუძველზე.

მაშასადამე, უნდა იყოს.

მექანიზება (და არა მექანიზირება)

ავტომატიზება (და არა ავტომატიზირება)

მობილიზება (და არა მობილიზირება)

მილიტარიზება (და არა მილიტარიზირება) და სხვ.

როგორც აღინიშნა, როცა ზმნის ფუძის შესაბამისი სახელი ქართულში არ გაგვაჩნია, ზმნის პირიანი ფორმების გადმოსაცემად ქართულში უფრო ხშირად აღწერით წარმოებას მიმართავენ, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში და სათანადო სტილისტიკური საჭიროების მიხედვით ორგანული ფორმებიც ხმარებაშია, ე. ი. აღწერით წარმოებასთან ერთად მიღებულია ორგანული ფორმებიც.

ორგანული ფორმების საწარმოებლად ზმნის ფუძედ გამოყენებულია უცხოური ზმნის ფუძე. ამ ნაწილის ფუძედ გამოყენება ქართულში ისევე კანონიერია, როგორც რუსულში გერმანული ფუძისა.

სათანადო ქართული აფიქსები ა—ებ (მოქმედებითი გვარის ზმნათა საწარმოებლად, ხოლო ვნებითისათვის — დონიანი (-ებ, -ობ), საშუალო გვარის საწარმოებლად ამ ტიპის ზმნებთან სავსებით კანონზომიერია და გამართლებული.

ამიტომ, ორგანული ფორმების საწარმოებლად (როცა ზმნის ფუძის შესაბამისი სახელი ქართულში არ გაგვაჩნია) ზმნის ფუძედ უნდა გამოვიყენოთ უცხოური ზმნის ფუძე (ის მასალა, რომელიც

რჩება რუსულ ინფანტივში -овать დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ; თუ არის-изировать, ჩამოსცილდება-ировать) სათანადო ქართული გაფორმებით:

ა) ა—ებ აფიქსები მოქმედებითი გვარის საწარმოებლად: (ვნებითი სუფიქსური წარმოებისა)

| | | |
|---------------------|---|--|
| моторизовать | — | მოტორიზება — ამოტორიზებს |
| легировать | — | ლეგირება — ალეგირებს |
| капитализовать | — | კაპიტალიზება — აკაპიტალიზებს |
| детализировать | — | დეტალიზება — ადეტალიზებს |
| денонсировать | — | დენონსირება — ადენონსირებს |
| демобилизовать | — | დემობილიზება — ადემობილიზებს |
| градировать | — | გრადირება — აგრადირებს |
| баржировать | — | ბარჟირება — აბარჟირებს |
| локализовать/ся | — | ლოკალიზება — ალოკალიზებს — — ლოკალიზდება |
| нивелировать/ся | — | ნიველირება — ანიველირებს — ნიველირდება |
| квалифицировать/ся | — | კვალიფიცირება — აკვალიფიცირებს — კვალიფიცირდება |
| автоматизировать/ся | — | ავტომატიზება — აავტომატიზებს — ავტომატიზდება |
| ассимилировать/ся | — | ასიმილირება — აასიმილირებს — ასიმილირდება |
| модифицироваться | — | მოდIFIცირება — მოდიფიცირდება |
| мобилизоваться | — | მობილიზება — მობილიზდება |
| механизироваться | — | მექანიზება — მექანიზდება |
| легализоваться | — | ლეგალიზება — ლეგალიზდება |
| изолироваться | — | იზოლირება — იზოლირდება |
| деформироваться | — | დეფორმირება — დეფორმირდება |
| денатурироваться | — | დენატურირება — დენატურირდება |
| демократизироваться | — | დემოკრატიზება — დემოკრატიზდება |
| деклассироваться | — | დეკლასირება — დეკლასირდება |

და ა. შ.

შენიშვნა: ამგვარი წარმოება ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგ., агитировать — აგიტაციას ეწევა და არა: აგითირება — უაგითირებს.

ბ) -ებ სუფიქსი საშუალო გვარის გადმოსაცემად:

| | |
|-----------------|---------------------------------|
| вибрировать | — ვიბრირება — ვიბრირებს |
| гармонировать | — ჰარმონირება — ჰარმონირებს |
| реагировать | — რეაგირება — რეაგირებს |
| фигурировать | — ფიგურირება — ფიგურირებს |
| функционировать | — ფუნქციონირება — ფუნქციონირებს |
| циркулировать | — ცირკულირება — ცირკულირებს |

ორგანიზებული და ორგანიზაციამნილი

ამჟამად აღწერთი ფორმები იშვიათია, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ:

... შემდგომელ კომისიას შეუძლია მოიწვიოს რეკვიზიციამნილი ქონების შესაფასებლად მცოდნე პირები (სამოქ. სამ. კოდ.). კოვპაკმა გააცნო კრებას შტაბის ბრძანება... ვინ ინიშნებოდა რეორგანიზაციამნილი ასეულების მეთაურად. (დ. ბაქრ.).

ორგანული წარმოება უფრო ახალია, მაგრამ იგი უკვე საბოლოოდ დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში.

ყველა საწარმოო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება („ახ. კომ.“). ავტომატიზებული თბოელექტროცენტრალი („კომ.“). როგორც თავიანთ მშობლიურ სახლში, ისე მოდიოდნენ აქვეჯაჭურებული უკრაინელი კოლმეურნეები („კომ.“). რკინიგზები ელექტროფიცირებულია („კომ.“). ამჟამად რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვი აღწევს 42 პროცენტს („კომ.“). ორ დღეში ერთხელ ყრიან მშრალ კომბინირებულ საკვებს („კომ.“) ... სესხი ეძლევა თავისუფლად კონვეტირებული ვალუტით („კომ.“). ცუდად არის კოორდინირებული მათი საქმიანობა („კომ.“). პირუტყვის კონცენტრირებული საკვებიც ესაჭიროება („კომ.“). წარმოების თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია („კომ.“). მექანიზებულ ფერმაში შრომის ნაყოფიერება იზრდება („კომ.“). ქარხანაში ყველა ძირითადი სამუშაო მექანიზებულია („კომ.“). მოდერნიზებულ იქნა ასობით საწარმო („კომ.“). რეკონსტრუირებულ იქნება... ქდანოვის, გორკის, ფრუნზეს... და სხვა ქუჩები. („კომ.“). ... დეტალურად

გაცენენ თვითმაცენტრი ბელი. ვაზნების დამუშავების ტექნოლოგიას („კომ.“). მგზავრები თავსდებიან კომფორტაბელური ჰერმეტიზებულ კაბინაში („კომ.“).

აქტივიზებული საომარი მოქმედება („კომ.“). ...მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს ხანში განხორციელდეს კვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარ მუშაკების გაცემა („კომ.“). ...კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების დიდი არმიის არსებობა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუზრელი ზრდისათვის ჩვენს ქვეყანაში („კომ.“) ...კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების დიდი არმიის არსებობა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის შრომის ნაყოფიერების განუზრელი ზრდისათვის ჩვენს ქვეყანაში („კომ.“). ერთ კვალიფიციურ მყნობელს შეუძლია დღეში დაამყნოს 200-მდე კალამი („კომ.“). სკოლა დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგებითა და აღმზრდელებით („ახ. კომ.“). ...განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას („ახ. კომ.“).

შენიშვნა: ამჟამად ქართულში დამკვიდრებულია ფორმა **კვალიფიციური** (ნაცვლად **კვალიფიცირებულ**-ისა), რაც ერთგვარ გამოწკლის წარმოადგენს აღნიშნული ტიპის მიმღეობათა წარმოებაში. სხვა მაგალითები:

შვეიცარიის გრაფიკის გამოფენა... ამჟამად თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია ექსპონირებული („ახ. კომ.“). კერესმა ცენტრში იზოლირებული პაიკი მიიღო (ახ. კომ.“). წიგნში კარგადაა ილუსტრირებული ხის ხიდების კონსტრუქციების ანგარიში. („ახ. კომ.“). მოდერნიზებული „მაკეტის“ მთელი რიგი სცენები უნდა გადაეღოთ მოტლანდიაში („ახ. კომ.“). ორგანიზებულად ჩავატაროთ წინასაფინალო ეტაპები („ახ. კომ.“). ახლა რაიონში უკვე 30-ზე მეტი რადიოფიცირებული სოფელია („ახ. კომ.“).

ჭერ კიდევ ეკრანზე გამოსვლამდე იგი ფართოდ იქნა რეკლამირებული („ახ. კომ.“). უნიფიცირებული ძრავა შეიძლება დავეყნოთ სხვადასხვა სიმძლავრეზე. („ახ. კომ.“).

ა) ვნებითი გვარის მიმღეობას აღწერიტად „ქმნილის“ საშუალებით (მაგ., **ფიქსაციაქმნილი**) გამოხატავდნენ. მაგრამ ეს მეტად საჩოთირო იყო — საჭირო შინაარსს იგი პირობითად თუ გამოხატავდა. მართებული ეს წარმოება იმ შემთხვევაში იქნებოდა, **ქმნილი** რომ იყოს მიმღეობა (ვნებ.) **უყვეს** ფორმისა:

зафиксировали — ფიქსაცია უყვეს
зафиксированный — ის, რასაც ფიქსაცია უყვეს.

მაგრამ სასხვისო ქცევა (**უყვეს**) მიმღეობას არა აქვს, საარგისო ქცევის მიმღეობა კი აქ არ გამოდგება (**ქმნილი** — რაც ქმნეს, რაც იქმნა. გაკეთდა, და არა: რომელსაც რაღაც უყვეს, რომელსაც რაღაც გაუკეთეს).

ბ) **ქმნილის** საშუალებით ვნებითის მიმღობის წარმოება კიდევ უფრო უხერხულია, როცა აღწერით წარმოებაში გამოყენებულია **ვუკეთებ, ვუშვრები**. ზმნა კი არა, არამედ სხვა ზმნა:

- | | |
|-----------------|--|
| информировали | — ინფორმაცია მიაწოდეს |
| информированный | — ინფორმაციაქმნილი (?) დაწესებულება |
| гарантировали | — გარანტია მისცეს |
| гарантированный | — გარანტიაქმნილი: ხელშეკრულებით გარანტიაქმნილი (?) ზავი... |

გ) არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ასეთი წარმოება შეუძლებელია, რადგან სათანადო განყენებული სახელი თვით იმ ენაშიც არ იხმარება, საიდანაც ზმნა მომდინარეობს: **деклассированный элемент... анда интернированные части...** „ქმნილის“ საშუალებით ამ გამოთქმათა გადმოცემა შეუძლებელია, არც პირდაპირი თარგმანი ხერხდება.

ამის საფუძველზე, აღნიშნული ტიპის ზმნათა ვნებითის მიმღობების ერთადერთ სავალდებულო ფორმად უნდა ეცნოთ ორგანული წარმოება მამასადამე, უნდა იყოს:

ორგანიზებული (და არა **ორგანიზაციაქმნილი**)

ფიქსირებული (და არა **ფიქსაციაქმნილი**).

ეს ფორმები ამჟამად დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში და დადასტურებასლა მოითხოვს.

ამრიგად, უცხოური წარმოშობის ზმნები, რომელთაც რუსულში —ировать, -изовать (-изиловать) დაბოლოება აქვთ, ქართულში უცხოური ფუძით უნდა გადმოიცეს.

1. თუ ზმნის ფუძე სახელადაც გვაქვს ნასესხები, ზმნას ვაწარმოებთ ამ სახელებისაგან სათანადო აფიქსების დართვით, სახელდობრ:

ა) **ა—ებ** უნდა დაერთოს მოქმედებითი გვარის შინაარსის გადმოსაცემად (სათანადო ვნებითი **-დონიანი** უნდა იყოს):

- | | |
|---------------|---|
| проектировать | — პროექტი — აპროექტებს — პროექტდება — დაპროექტებული |
| бетонировать | — ბეტონი — აბეტონებს — ბეტონდება — დაბეტონებული |

ბ) **-ავ** აგრეთვე მოქმედებითი გვარის შინაარსის გადმოსაცემად (სათანადო ვნებითი **ი-პრეფიქსიანი**):

| | |
|--------------|--|
| пломбировать | — პლომბი — პლომბავს — იპლომბება — დაპლომბილი |
| плиссировать | — პლისე — პლისავს — იპლისება — დაპლისული |

2. თუ ზმნის ფუძის შესაბამისი სახელი ქართულში არ გავიჩნია, წარმოებისას ფუძედ გამოყენებული უნდა იქნეს ის მასალა, რომელიც რჩება რუსულში -овать დაბოლოების მოცილების შემდეგ (როცა -ир-ს -из -უძღვის, მოეკვეცება -ир-овать და ფუძე -იზ-ით გათავდება), ე. ი. უცხოური ზმნის ფუძე. ამ შემთხვევაში:

ა) -ებ (ან -ობ) საჭიროა საშუალო გვარის შინაარსის გადმოსაცემად:

| | |
|-------------|-------------------------|
| вибрировать | — ვიბრირება — ვიბრირებს |
| реагировать | — რეაგირება — რეაგირებს |

ბ) ა—ებ მოქმედებითი გვარის შინაარსის გადმოსაცემად:

| | |
|--------------|--|
| нивелировать | — ნიველირება — ანიველირებს (ნიველირდება — ნიველირებული) |
| локализовать | — ლოკალიზება — ალოკალიზებს — ლოკალიზდება — ლოკალიზებულნი |

შენიშვნა: ორგანული წარმოება აუცილებელია მიმღეობის აღწერითი წარმოების (**ქმნილით** წარმოების) ნაცვლად; სავალდებულოა: **მობილიზებული** (ნაცვლად **მობილიზაციაქმნილი-სა**) **ორგანიზებული** (და არა: **ორგანიზაციაქმნილი**).

ორგანული ფორმების ხმარება ზმნის პირიანი ფორმების გადმოსაცემად სტილისტიკური საჭიროებით განისაზღვრება.